# ლელო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

LELO — Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 137 (2500) ◉ სამშაბათი, 14 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

- ფიზკულტურული შვიდწლედი — ექვს წელში!
- სხვადასხვაგვარი მეზობლები
- ვინც მეტს იძლევა...

**457 სმ — ჰოკაით**

გორკში, „დინამოს“ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე ათჰიდელმა ი. დიაჩკოვ-დუმბაძემ ჰოკაით ხტომაში დაამყარა საქართველოს რეკორდი — 457 სმ. სიმაღლეზე ხტომაში პირველი იყო რ. შავლაყაძე — 208 სმ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

მოსკოვი, 13 ივლისი (საკდესი). დღეს კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

დღის 10 საათზე კრემლის თეატრის შენობაში გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა.

კრემლის დიდ სასასლეში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დამტკიცდა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში სკკპ პროგრამის შესრულების ღონისძიებათა შესახებ:

ა) კოლმეურნეებისათვის პენსიებისა და დახმარების შესახებ;

ბ) განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურებიან.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის 11 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიასა და სსრ კავშირის ყველა მშრომელს, რომ 11 ივლისს ადამის თბილისელ „ლიტვის“ ბორტზე, რომელიც საფრანგეთიდან სსრ კავშირში მიემართებოდა, მოულოდნელად გარდაიცვალა საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე რევოლუციონერი, სსრ კავშირის ერთგული მეგობარი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხანაგი მორის ტორეზი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

## ალეოსანელთი, ევანელთი, ბანელთი, სანელთი...

▲ ლოს-ანჯელოსი. ბრწყინვალე შედეგებით აღინიშნა მოცურავე ქალთა აქ გამართული ასპარეზობა. დამყარებულ იქნა 3 მსოფლიო რეკორდი: 17 წლის რომონოვამ 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 4.42,0, ხოლო 14 წლის კოლბამ — 100 მ ბრასით — 1.17,9. ახალი მსოფლიო რეკორდი 200 მ ბატერფლაით დაამყარა სტოლუდერმა.

▲ ლონდონი. დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში მოიხსნა ევროპის ერთ-ერთი „უხუცესი“ რეკორდი 6 მილზე რბენაში. ცნობილი უნგრელი სტაიერის შ. იხაროშის მიერ 8 წლის წინათ დამყარებული რეკორდი 17,2 წამით გაუმჯობესა 30 წლის მ. ბალივენტმა — 27.26,6. ამ წარმატების მეოხებით ახალმა რეკორდსმენმა გაინაღდა ტოკიოს საგზური.

▲ ვარშავა. პოლონეთის ახალი რეკორდი ურის ტყორცნაში (67,50 მ) დაამყარა ო. ჩიოკლმა. ამ შედეგით იგი მსოფლიოს უძლიერეს ურის მტყორცნელთა რიგებში ჩადგა.

▲ ათენი. საბერძნეთის ახალი რეკორდი ჰოკაით ხტომაში დაამყარა ახალგაზრდა მძლეოსანმა პაპანიკოლაუმ — 469 სმ.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. როშჩინი ლენინგრადის არმიის სპორტული კლუბის წევრია. იგი ატარებს კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის სპეციალურ სახელს. როშჩინი გულმოდგინედ ემზადება ტოკიოს ოლიმპიადისთვის. წვრთნის პერიოდში სპორტსმენი დიდ ყურადღებას უთმობს საერთოგანმავითარებელ ფიზიკურ ვარჯიშებს.

სურათზე: როშჩინი საწონებით ვარჯიშისას.

ფოტო ე. სილინისა. (საკდესი).

## ჩვენ ეგზავნებოდა ოლიმპიადაზე

### ჩვენები ლიდერობენ

კაუნასი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა რაპირისტთა შეჯიბრება სტუდენტთა საკავშირო თამაშების პროგრამით. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ვ. ჟდანოვიჩმა, ხოლო მეორე ადგილი წილად ხვდა საქართველოს წარმომადგენელს ი. ოსიპოვს. გუნდური პირველობა ერგოთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს. მომავალი ინჟინრები მოფარიკავეთა ასპარეზობის საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ლიდერობას არავის უთმობენ. მეორე ადგილზე არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები.

ა. გოგელია

### „სპჯადრაკო სესია“ დამთავრდა

დნეპროპეტროვსკი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში. როგორც ცნობილია, დასკვნით შეჯიბრებაში საქართველოს ვერც ერთი კოლექტივი ვერ მოხვდა.

ფინალში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 6 კოლექტივი მონაწილეობდა, გამარჯვება წილად ხვდა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი, ხოლო მესამეზე — რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები.

## ჩვენი კონკურსი

ვინ გამოვა გამარჯვებული „ტოკიოს წინასწარმეტყველთა“ შორის?

როგორც ცნობილია, ჩვენმა გაზეთმა ა. წ. 14 ივნისს გამოაცხადა წინასაოლიმპიადო კონკურსი სპორტის მცოდნეთათვის.

დღეს კვლავ ვაქვეყნებთ „ლელოს“ კონკურსის შეკითხვებს:

1. დაასახელეთ ტოკიოს ოლიმპიადაზე არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე გამოსული ქვეყნები.
2. ვინ გაიმარჯვებს მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში და რა იქნება მისი შედეგი სამჭიდის ჯამში?
3. ვინ მოიპოვებს სსრ კავშირის მოკრივეთაგან ოლიმპიურ ოქროს მედლებს?
4. დაასახელეთ ფეხბურთში ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალისა და ფინალის მონაწილენი, გამარჯვებული გუნდი.
5. საქართველოს სპორტსმენთაგან ვინ მოიპოვებს ოლიმპიურ მედლებს?
6. ვინ გახდება ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში?
7. რამდენ ოქროს მედალს მოიპოვებენ საბჭოთა მძლეოსნები?
8. დაასახელეთ ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში.
9. დაასახელეთ ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებიც გახდებიან პირველი ოლიმპიური ჩემპიონები ფრენბურთში.
10. როგორ განაწილდება პირველი ექვსი ადგილი წყალბურთელთა ტურნირში?
11. რომელი ქვეყნის გუნდი გაიმარჯვებს ტანვარჯიშში ვაჟთა შორის?
12. რა შედეგებს მოიპოვებენ ქართველი სპორტსმენები კლასიკურ ჭიდაობაში?
13. როგორ განაწილდება პირველი სამი ადგილი კალათბურთელთა ტურნირში?
14. ვინ მოიგებს სპრინტერულ რბოლას ველოტრეკზე?
15. როგორი შედეგი ექნება გამარჯვებულს სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის?

ყოველი სწორი და ამომწურავი პასუხისთვის დაიწერება 3 ქულა, ხოლო სწორი, მაგრამ არასრული პასუხისთვის — 1. კონკურსში გამარჯვებისათვის და პრიზების მოპოვებისათვის აუცილებელია ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის სულ ცოტა 50 პროცენტის დაგროვება.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

I პრიზი — კინოაპარატი.
II პრიზი — ფოტოაპარატი.
III პრიზი — საათი.

პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 ოქტომბერი (ფოსტის ბეჭდის მიხედვით).

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: **თბილისი — 8. ლენინის ქუჩა № 14, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია. კონვერტს წაწერილი უნდა ჰქონდეს: „ოლიმპიური კონკურსისათვის“.** წერილში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული გამომგზავნის გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია და მისამართი.

## ახალი ფედერაცია

**მოსკოვი (ჩვენი კორ.).** აქ შედგა საბჭოთა კავშირის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის საკავშირო დამფუძნებელი პლენუმი. ფედერაციის პრეზიდიუმში შევიდა 21 წევრი. თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ზახარჩენკო, მის მოადგილეებად — ი. პრეობრაჟენსკი, ვ. ზირიანოვი, ჰ. ტესნერი, პასუხისმგებელ მდივნად — ჰ. როდიონოვი.

## სუკანარჯელ საათს...

◆ **ბუენოს-აირესი.** მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის III ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა: ჰ. კერესმა მოუგო არგენტინელ გ. პილნიკს. დანარჩენი შეხვედრები, მათ შორის ელისკაზეს (არგენტინა) — პეტროსიანისა, 5-საათიანი ბრძოლის შემდეგ არ დამთავრებულა. I ტურში გადადებული პარტიის დამთავრებისას კერესმა მოუგო არგენტინელ რიბინეტს და 3 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამავე ტურის დაუმთავრებელ პარტიაში არგენტინელ შვებერთან მსოფლიოს ჩემპიონი პეტროსიანი ყაიმს დაჯერდა. სამაგიეროდ, მან მოუგო ურუგვაელ ოლივეროს II ტურის გადადებული პარტია.

◆ **კისლოვოდსკი.** სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო მატჩის IV ტურში ყაიმით დამთავრდა ჩოკილტია (რუმინეთი) — შტეინის, ხასინ — ფუქსის (გდრ), ფიხტლ (ჩეხოსლოვაკია) — ბიხოვსკის პარტიები. დანარჩენი შეხვედრები არ დამთავრებულა. 4 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა-კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი — 3 ქულა.

◆ **გუშინ** გაიმართა მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის: „არარატი“ (ერევანი) — „ალგა“ (ფრუნზე) 4:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:2, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — სკა (ოდესა) 0:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (გომელი) 1:0.

◆ **ლენინგრადი,** 13 ივლისი. **დღეს** აქ ალყირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 1:3 წააგო მატჩი რსფსრ-ს გუნდთან, რომელიც „ბ“ კლასის ოსტატებისგან იყო შემდგარი.

◆ ორიოლი. ორი კვირა გრძელდებოდა პლანერისტთა საკავშირო შეჯიბრება. ძირითად ვარჯიშებად იყო სისწრაფეზე ფრენა 100, 200 და 300-კილომეტრიანი სამკუთხოვანი მარშრუტებით. 23 პირველთანრიგოსნიდან 14-მა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. I ადგილი დაიკავა უკრაინის ნაკრებმა, II — ადგილობრივი ცენტრალური საპლანერო სპორტკლუბის კოლექტივმა, ხოლო III — შარშანდელ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ლიტვის გუნდმა. გარდამავალი პირადი პრიზი — „ვერცხლის პლანერი“ — 300-კილომეტრიანი მარშრუტით სწრაფფრენაში საუკეთესო შედეგისთვის გადაეცა უკრაინელ ვ. გონჩარენკოს, რომელმაც, გარდა ამისა, 3 ოქროს მედალი (ექვსიდან) მოიპოვა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ჩემპიონის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულნი — ე. რუდენსკი (უკრაინა), რ. ვისოცკასი (ლიტვა) და ვ. სტაშანსი (ლატვია).

# შედეგები და გეგმები

საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მთავარ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა-ვალდებულების ექვს წელიწადში განაღდება.

როგორც ცნობილია, განვლილი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს 994 სპორტის ოსტატი, 9.719 პირველთანრიგოსანი, დანარჩენი თანრიგების 380 ათასი სპორტსმენი და 544 ათასი მშთ ნიშნოსანი. ამ მაჩვენებლებმა რეალური შესაძლებლობა შექმნა 1964 წლის ბოლოს აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისთვის.

იმისათვის, რომ 1964 წელსვე უზრუნველყოთ შვიდწლიანი გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანი შესრულება, აუცილებელია წელს მოვამზადოთ: 300 სპორტის ოსტატი, 2 ათასი პირველთანრიგოსანი, 70 ათასი II,–III და მოზარდთა თანრიგის მქონე სპორტსმენი, 100 ათასი იმშთ და მშთ ნიშნოსანი.

გადავხედოთ რა გაკეთდა 1964 წლის პირველ ნახევარში.

თუ მშთ ნიშნოსნებისა და დაბალი თანრიგების სპორტსმენთა მომზადება ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამას ვერ ვიტყვით სპორტის ოსტატების, პირველთანრიგოსან სპორტსმენთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების აღზრდაზე. ამ პუნქტებში შეიმჩნევა საგრძნობი გარღვევები.

მივმართოთ ციფრებს: 1964 წლის 6 თვის განმავლობაში მომზადებულია 64 სპორტის ოსტატი, 690 პირველთანრიგოსანი, 42.300 მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგის მქონე სპორტსმენი, 40.500 მშთ ნიშნოსანი და 9.900 საზოგადოებრივი მწვრთნელი, ინსტრუქტორი და სპორტული მსაჯი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელ სურათს იძლევა, თუ რა მდგომარეობაა რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ნახევარი წლის შედეგების მიხედვით (მდგომარეობა 1 ივლისისათვის):

| | მშთ | | | II-III და მოზარდთა თანრიგები | | | I თანრიგი | | სპორტის ოსტატი | | საზოგადოებრივი კადრები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა (ათასებში) | შესრ. (ათასებში) | % | გეგმა (ათასებში) | შესრ. (ათასებში) | % | გეგმა | შესრ. | გეგმა | შესრ. | გეგმა (ათასებში) | შესრ. (ათასებში) |
| 1. აფხაზეთის ასსრ | 6,0 | 2,4 | 40,0 | 6,9 | 3,5 | 50,0 | 227 | 52 | 21 | 4 | 1,2 | — |
| 2. აჭარის ასსრ | 5,0 | 3,4 | 68,0 | 6,7 | 4,9 | 73,0 | 219 | 88 | 15 | 7 | 2,0 | — |
| 3. სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 1,5 | 1,0 | 67,0 | 3,5 | 1,3 | 36,0 | 100 | 26 | 3 | 3 | 0,5 | — |
| 1. თბილისი | 14,0 | 7,0 | 50,0 | 14,7 | 7,9 | 54,0 | 828 | 255 | 131 | 22 | 5,1 | 2,9 |
| 2. ქუთაისი | 3,0 | 2,1 | 70,0 | 5,3 | 2,9 | 55,0 | 145 | 96 | 20 | 5 | 2,0 | 1,3 |
| 3. ფოთი. | 0,9 | 0,5 | 55,0 | 1,7 | 1,0 | 59,0 | 22 | 20 | 2 | 1 | 0,4 | 0,2 |
| 4. ჭიათურა | 0,5 | 0,3 | 60,0 | 0,6 | 0,5 | 83,0 | 16 | — | 1 | — | 0,2 | — |
| 5. რუსთავი | 1,0 | 0,4 | 40,0 | 1,8 | 1,3 | 72,0 | 23 | 14 | 3 | 5 | 0,4 | 0,2 |
| 6. გორი | 0,7 | 0,7 | 100,0 | 1,5 | 0,9 | 60,0 | 22 | 21 | 2 | 3 | 0,2 | 0,2 |
| 7. ბორჯომი | 0,7 | 0,5 | 70,0 | 1,6 | 1,0 | 62,0 | 29 | 8 | 2 | — | 0,3 | — |
| 8. ზესტაფონი | 0,7 | 0,3 | 43,0 | 0,4 | 0,4 | 100,0 | 17 | 9 | 2 | — | 0,4 | 0,4 |
| 9. ზუგდიდი | 0,5 | 0,6 | 120,0 | 0,6 | 0,4 | 67,0 | 5 | 5 | 2 | — | 0,4 | 0,4 |
| 10. კასპი | 0,5 | 0,3 | 60,0 | 0,5 | 0,4 | 80,0 | 2 | — | 1 | — | 0,2 | 0,1 |
| 11. სამტრედია | 0,4 | 0,3 | 75,0 | 0,7 | 0,3 | 43,0 | 24 | 3 | 1 | — | 0,3 | — |
| 12. თელავი | 0,2 | 0,3 | 150,0 | 0,9 | 0,5 | 55,0 | 18 | 1 | 1 | — | 0,1 | 0,2 |
| 13. ტყიბული | 0,6 | 0,5 | 83,0 | 0,5 | 0,6 | 120,0 | 4 | — | 1 | — | 0,2 | 0,2 |
| 14. წყალტუბო | 0,2 | 0,1 | 50,0 | 0,3 | 0,2 | 66,0 | 1 | 2 | 1 | — | 0,2 | 0,1 |
| 1. ამბროლაურის რაიონი | 1,4 | 0,7 | 50,0 | 1,2 | 0,6 | 50,0 | 6 | 4 | — | — | 0,3 | 0,2 |
| 2. ახალქალაქის „ | 1,1 | 0,6 | 54,0 | 1,0 | 0,5 | 50,0 | 7 | 1 | 1 | — | 0,7 | 0,3 |
| 3. ახალციხის „ | 1,3 | 0,7 | 53,0 | 1,3 | 0,8 | 61,0 | 6 | 3 | 1 | — | 0,2 | 0,1 |
| 4. ახმეტის „ | 0,7 | 0,5 | 71,0 | 0,7 | 0,5 | 71,0 | — | — | — | — | 0,1 | 0,1 |
| 5. ბოლნისის „ | 1,5 | — | — | 0,5 | — | — | 1 | — | — | — | 0,5 | — |
| 6. გარდაბნის „ | 0,7 | 0,4 | 57,0 | 1,0 | 0,5 | 50,0 | 14 | — | 6 | 1 | 0,2 | 0,1 |
| 7. გეგეჭკორის „ | 0,7 | 1,0 | 143,0 | 0,8 | 0,7 | 87,0 | 1 | 2 | — | — | 0,4 | 0,2 |
| 8. გორის „ | 1,0 | 0,7 | 70,0 | 0,9 | 0,6 | 67,0 | 4 | — | — | — | 0,3 | — |
| 9. გურჯაანის „ | 0,9 | 1,0 | 111,0 | 0,8 | 0,5 | 62,0 | 4 | — | 2 | — | 0,5 | 0,1 |
| 10. დუშეთის „ | 0,3 | 0,2 | 66,0 | 0,7 | 0,5 | 71,0 | 4 | — | 1 | — | 0,1 | 0,1 |
| 11. ზესტაფონის „ | 1,5 | — | — | 0,9 | — | — | 5 | — | 1 | — | 0,6 | — |
| 12. ზუგდიდის „ | 2,0 | — | — | 1,0 | — | — | 13 | — | 1 | — | 0,7 | — |
| 13. ყაზბეგის „ | 0,3 | 0,2 | 66,0 | 0,4 | 0,2 | 50,0 | 5 | — | 2 | 1 | 0,1 | — |
| 14. ყვარლის „ | 2,5 | 1,8 | 72,0 | 1,2 | 1,0 | 83,0 | 6 | 12 | — | — | 0,8 | 0,6 |
| 15. ლანჩხუთის „ | 1,0 | 0,6 | 60,0 | 0,7 | 0,4 | 57,0 | 5 | 4 | — | — | 0,3 | 0,2 |
| 16. ლენტეხის „ | 0,5 | 0,5 | 100,0 | 0,4 | 0,3 | 75,0 | 1 | — | 1 | — | 0,2 | 0,3 |
| 17. მარნეულის „ | 0,6 | 0,6 | 100,0 | 0,4 | 0,5 | 80,0 | 2 | — | — | — | 0,4 | 0,4 |
| 18. მახარაძის „ | 1,2 | 0,6 | 50,0 | 1,0 | 0,5 | 50,0 | 11 | 5 | 1 | — | 0,7 | — |
| 19. მაიაკოვსკის „ | 1,4 | 0,9 | 64,0 | 0,8 | 0,4 | 50,0 | — | — | — | — | 0,2 | — |
| 20. მესტიის „ | 0,3 | — | — | 0,5 | — | — | 7 | — | 1 | — | 0,1 | — |
| 21. მცხეთის „ | 0,8 | 0,7 | 87,0 | 0,7 | 0,7 | 100,0 | 13 | 4 | 3 | 2 | 0,1 | — |
| 22. ორჯონიკიძის „ | 0,8 | 0,5 | 62,0 | 0,4 | 0,6 | 67,0 | — | — | — | — | 0,3 | 0,2 |
| 23. წულუკიძის „ | 0,8 | 0,5 | 62,0 | 0,9 | 0,4 | 44,0 | 5 | — | 1 | — | 0,3 | 0,1 |
| 24. საგარეჯოს „ | 0,4 | — | — | 0,7 | — | — | 5 | — | 2 | — | 0,2 | — |
| 25. საჩხერის „ | 0,9 | 0,9 | 100,0 | 0,7 | 0,7 | 100,0 | — | — | — | — | 0,3 | 0,3 |
| 26. სიღნაღის „ | 1,0 | 0,6 | 60,0 | 0,7 | 0,3 | 43,0 | 5 | 9 | — | — | 0,4 | 0,1 |
| 27. თელავის „ | 0,4 | 0,5 | 80,0 | 0,6 | 0,5 | 83,0 | 2 | — | — | — | 0,2 | 0,1 |
| 28. თეთრი წყაროს „ | 2,2 | 1,5 | 68,0 | 1,3 | 0,8 | 61,0 | 2 | 2 | — | — | 0,2 | — |
| 29. თიანეთის „ | 0,7 | 0,7 | 100,0 | 0,2 | 0,2 | 100,0 | — | — | — | — | 0,1 | — |
| 30. ხაშურის „ | 1,0 | 0,9 | 90,0 | 1,2 | 1,2 | 100,0 | 10 | 10 | — | — | 0,2 | — |
| 31. ცაგერის „ | 0,6 | 0,4 | 67,0 | 0,4 | 0,3 | 75,0 | 1 | — | — | — | 0,1 | — |
| 32. წალენჯიხის „ | 0,7 | 0,6 | 86,0 | 0,4 | 0,2 | 50,0 | 1 | — | — | — | 0,2 | 0,1 |
| 33. ცხაკაიას „ | 0,9 | — | — | 0,9 | — | — | 6 | — | — | — | 0,2 | — |
| 34. წყალტუბოს „ | 0,9 | 0,7 | 78,0 | 1,1 | 0,6 | 55,0 | 4 | — | — | — | 0,5 | 0,3 |
| 35. ჩოხატაურის „ | 0,6 | 0,3 | 50,0 | 0,5 | 0,3 | 60.0 | 3 | — | — | — | 0,2 | — |
| 36. სხვა ორგანიზაციებში | — | — | | — | — | | 139 | 34 | 67 | 10 | — | — |
| სულ რესპუბლიკაში | 70,0 | 40,5 | 58,0 | 75,0 | 42,3 | 56,0 | 2.000 | 690 | 300 | 64 | 25,0 | 9,9 |

როგორც ვხედავთ, მონაცემები არც თუ სახარბიელოა, განსაკუთრებით კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში, გარდაბნის, თელავის, ახალქალაქის, წულუკიძისა და სხვა რაიონებში.

ამასთან, საყვედურს იმსახურებენ ბოლნისის (სპორტკავშირის თავმჯდომარე რ. ნებიერიძე). ზესტაფონის (თავმჯდომარე ა. განუგრავა), ზუგდიდის (თავმჯდომარე ჯ. გაფრინდაშვილი), მესტიის (თავმჯდომარე ბ. რატიანი), საგარეჯოს (თავმჯდომარე მ. ელერდაშვილი) და ცხაკაიას (თავმჯდომარე შ. ჩიქობავა) რაისპორტკავშირის მესვეურები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ცნობების დროულად წარმოდგენა. სწორედ ამის გამოა, რომ ამ რაიონების მონაცემები ცხრილში ჯერ არის შეტანილი.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მომავალში, ყოველი თვის 5 რიცხვს, გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მიერ წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობის ანალოგიური ცხრილები კრიტიკული შენიშვნებითა და სათანადო მიმოხილვით.

ამასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს, საზოგადოებებსა და უწყებებს ევალებათ ყოველი თვის 3 რიცხვისთვის საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილებას წარუდგინონ ოფიციალური ცნობა გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე. ეს ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში, რომ შვიდწლიანი გეგმა წარმატებით, მაღალხარისხოვნად გავანაღდოთ ექვს წელიწადში.

**ნ. სომხიშვილი,**
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

## მოგზაურობა სპორტში

თბილისის მაუდის ფაბრიკაში გატაცებით მისდევენ სპორტის სხვადასხვა სახეობას. სურათებზე: ზევით — პირველთანრიგოსანი მაგიდის ჩოგბურთელი, ცვლის უფროსი ც. წიქარიძე. ქვევით — ფეხბურთელთა გუნდის მეკარე, ზეინკალი ნ. მიუშჩენკო.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## კარგი წამოწყება

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ამას წინათ მოაწყეს ამხანაგური შეხვედრები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში.

სპორტულ ბრძოლაში, რომელმაც ერთ თვეს გასტანა, გაიმარჯვეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის ფილიალის მოჭადრაკეებმა (7:3) და მაგიდის ჩოგბურთელმა ქალებმა (3:1), მაგიდის ჩოგბურთელ კაცებში კი — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სპორტსმენებმა — 4:1.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს მ. დალაქიშვილმა, ვ. ზოტიკაშვილმა, ვ. ხენკომ (ვ. ი. ლენინის მუზეუმი), ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა ლ. თოიძემ, ფ. ლომაშვილმა და გ. დევდარიანმა (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი).

ორი დაწესებულების ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოებმა გადაწყვიტეს ტრადიციად აქციონ მეგობრული სპორტული შეხვედრები. შემოდგომაზე ისინი კვლავ შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ძ. გოგიავა,**
**საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში.**

## „დენთი“ — ლაშქრობის წინ

დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის ტურისტულ ბაზაში ყოველდღიურად ახობით ტურისტი მოდის დარიალის ხეობის გამოვლით. ტურბაზის თანამშრომლები მათ ყოველთვის გულისხმიერად ხვდებიან. ფასანაურში სამდღიანი შეხვედრების დროს ტურისტები ათვალიერებენ სოფლის გარშემო არსებულ საინტერესო ადგილებს, აწყობენ მცირე მანძილის გახეირნება-ლაშქრობებს. ყოველივე ამისთვის სტუმრები ემზადებიან დილადანვე, რომელიც გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება.

სურათზე: ტურისტები დილის ვარჯიშისას.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

# პირველი გამარჯვება

**ბაქო**, 12 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დაიწყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზის გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთათვის, რომელსაც „იმედის თასი“ ეწოდება. აქ შედგა ზონალური გათამაშების პირველი მატჩი აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

ეს იყო ძალზე დაძაბული შეხვედრა. საქართველოს ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში (მანაგაძე) და შესვენებისთვის გუნდი წინ იყო — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა გაქვითეს გოლი, მაგრამ 30-ე წუთზე წოწორიამ ისევ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1. ამ გოლს მოჰყვა აზერბაიჯანელთა ძლიერი იერიშები და რამდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 2:2.

მატჩის დასასრულს სტუმრები განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს და ამ იერიშებმა გამოიღო კიდეც შედეგი. პერტენავამ 86-ე წუთზე კარგად გამოიყენა გადაცემა კარის წინ და მესამედ აიძულა ბაქოელთა მეკარე [illegible] დან ბურთი [illegible] ანგარიშით 3:2 [illegible] საქართველოს ფეხბურთელებმა.

ა. კიკნაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ვ. ბარკალაია

„Ა“ კლასი

II ჯგუფი

II ქვეჯგუფი

# კანონზომიერი მარცხი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 13 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:3 (0:1).

„შახტიორი“: ანდრესი (სიმოვიჩი), გორბოვი, პავლოვი, დესიატჩიკოვი, ლებედევი, ლეონიდოვი, მელქუმოვი, იგნატიევი, ლუკიანოვიჩი, იურკევიჩი, კოროლკოვი.

„ლოკომოტივი“: რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი, მიროშნიკოვი, ახალკაცი, კოშკელოვი (დავითულიანი).

მსაჯი ნ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი).

...როცა მატჩი დამთავრდა და ორივე გუნდი მოეწყო მინდვრის შუაგულში ტრადიციული სავალდებულო გამომშვიდობებისთვის, „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში არ იყო მეკარე ო. რუხაძე. მან თვითნებურად მიატოვა კოლექტივი, ზედმეტ პროცედურად მიიჩნია დასკვნითი ცერემონიალი და უბრალოდ რომ ვთქვათ — იდეზერტირა. ამ აღმაშფოთებელ ფაქტზე გუნდის ხელმძღვანელობა, იმედია, იმსჯელებს, მაგრამ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა რუხაძე საერთოდ არ გამოსულიყო სათამაშოდ. მან ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა ჩაატარა მატჩი, თვითნებობდა, უხეშობდა და სამართლიანად დაიმსახურა ტრიბუნების გულისწყრომა.

ეს რაც შეეხება რუხაძეს. მაგრამ ბევრით უკეთესი არც მისი პარტნიორები იყვნენ, რომლებმაც ეს ძალზე საპასუხისმგებლო მატჩი გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ მეტოქესთან ჩაატარეს იმდენად ქაოტურად, უაზროდ და აბნეულად, რომ ძნელია საერთოდ რაიმე შეფასება მისცე გუნდს. „ლოკომოტივის“ ყველა მოთამაშემ, გარდა მიროშნიკოვისა, მწვრთნელებისგან მიიღო ნიშანი „2“, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელის „სამიანიც“ ზედმეტი და უსარგებლო გულუხვობაა ხელმძღვანელობის მხრივ.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა უაღრესად სუსტად ჩაატარეს მატჩი და სავსებით კანონზომიერადაც დამარცხდნენ — 0:3. ბურთები გაიტანეს ლუკიანოვიჩმა და მელქუმოვმა (2).

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

რ. ქორიძე

განვლილ მატჩში როსტოვის არმიელთა გუნდთან საუცხოოდ ითამაშა თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბმა ს. მეტრეველმა. იგი იყო თბილისელთა მრავალი იერიშის წამომწყები.

სურათზე: ს. მეტრეველი გარღვევაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# თასი საიმედო ხელშია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი კ. გიორგობიანი) ბოლო წლებში მთელ რიგ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში, კერძოდ, 1962 წელს I ადგილი დაიკავა სტუდენტთა საკავშირო თამაშებში.

სულ ახლახან კისლოვოდსკში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდების საკავშირო ფინალური ტურნირი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ.

გათამაშება მიმდინარეობდა ეტაპობრივად (ზონალური, ნახევარფინალური და ფინალური). სულ შეჯიბრებაში გამოვიდა უმაღლეს სასწავლებელთა 98 კოლექტივი.

საქართველოს ფეხბურთელებმა ტურნირის დასკვნით ეტაპზე ფრედ ითამაშეს ფრუნზეს გუნდთან (1:1), ანგარიშით 10:0 დაამარცხეს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის კოლექტივი, ჩელიაბინსკის ინსტიტუტი — 3:0 და გავიდნენ ფინალში, სადაც მოუგეს ნოვოჩერკასკის ძლიერ გუნდს — 1:0.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თასი, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.



ახლახან თბილისში დამთავრდა ფრენბურთელთა რესპუბლიკური პირველობა ქალთა შორის. დიდ წარმატებას მიაღწიეს აფხაზეთის სპორტსმენებმა, რომლებმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონთა წოდება. სურათზე: წლევანდელი ჩემპიონის შეხვედრის მომენტი თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელებთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ახალი ამბები

ბათუმი. აქ დაიწყო საქართველოს პირველობა ჩოგბურთში. პირველ დღეს ჟორდანიამ დაამარცხა ურაევსკი, ღარიბაშვილმა — შავლი, ხუჭუამ — კავაზისი. შეჯიბრება გაგრძელდება 17 ივლისამდე.

ცხინვალი. დიდი ინტერესი გამოიწვია აქ გამართულმა ამხანაგურმა შეხვედრამ კრივში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გუნდებს შორის. 1 ქულის უპირატესობით გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სვერდლოვსკი. სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა პოლონეთის კალათბურთელთა საუკეთესო გუნდმა — გდანსკის „ვიგჟემმა“ აქ გამართა მეორე მატჩი. ამჯერად სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდნენ ადგილობრივი „ურალმაშის“ სპორტსმენები. შეხვედრამ საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა და პოლონელთა დამარცხებით დამთავრდა — 55:59.

## ცსკა-ს ახალი მწვრთნელი

ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ნიკოლაევი.

## „ფლამენგოს“ მესამე მოგება

სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდმა „ფლამენგომ“ გასულ შაბათს მესამე მატჩი გამართა. ამჯერად იგი კიშინიოვში შეხვდა ადგილობრივ „მოლდოვას“ და კვლავ გამარჯვება მოიპოვა — 2:1.

# წინ დინამოელები არიან

**კაუნასი, 13 ივლისი.** სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა გუნდურ ჩემპიონატში ორი დღის შემდეგ ლიდერობენ დინამოელები. მეორე ადგილზე არიან საბჭოთა არმიის სპორტსმენები.

საინტერესოდ წარიმართა ჯგუფური რბოლები 40 კილომეტრზე ქალთათვის და 130 კილომეტრზე ვაჟთათვის. ქალთა შორის გაიმარჯვა სპარტაკელმა ა. პურონენმა — 1:03.07. ვაჟთა შორის ყველას აჯობა არმიელმა ლ. სობკომ, რომლის დროა 3:09.53.

დღეს დამთავრდა შეჯიბრება კაუნასში. ველოსიპედისტები მინსკში გაემგზავრენ, სადაც 15-16 ივლისს გააგრძელებენ სსრ კავშირის ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

# საქმე მონდომებით კეთდება

შრომის ფერხულში ჩაბმულან ჭითაწყაროელი კოლმეურნეები. ჩაის ხასხასა პლანტაციებში ყოველდღიურად იკრიფება ათეულობით ტონა „მწვანე ოქრო“ და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განაღდებისთვის მეჩაიეები თავდადებით იღწვიან. ქალიშვილები და ჭაბუკები მოწინავეთა რიგებში დამკვიდრებულან, რომელთაც შარშანდელი მაჩვენებლები ეცოტავებათ და ახალ ზღუდეებს ლაშქრავენ.

შრომისმოყვარე ახალგაზრდებს გონივრული დასვენება შეფერით, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ საამისოდ არაფერი კეთდება; არტელის ხელმძღვანელობა აინუნშიაც არ აგდებს, რომ კოლმეურნეობას არ გააჩნია სპორტული ბაზები, ინვენტარი, არ ტარდება სხვადასხვა ფიზკულტურული ღონისძიებანი. აქ სასიამოვნო მოგონებად რაიონულ სპარტაკიადაში მონაწილეობაღა დარჩათ...

სპორტული მუშაობის ჩაშლაში კომკავშირულ ორგანიზაციასაც მიუძღვის ბრალი. არტელის ახალგაზრდები ადრე სკოლის ბაზებს იყენებდნენ სამეცადინოდ, ახლა ამ შესაძლებლობასაც უგულებელყოფენ. მართალია, შტატიანი ინსტრუქტორის უყოლობა გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის, მაგრამ გვგონია, რომ საზოგადოებრივ საწყისებზეც შეიძლება ამა თუ იმ სექციის ჩამოყალიბება. მძლეოსანი კომკავშირელი ლ. შანავა გასულ წელს სავარჯიშოდ რაიონის ცენტრში დადიოდა, შემდეგ კი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაშიც მონაწილეობდა. შინ მობრუნებულს შეეძლო ამხანაგებისთვის დახმარების გაწევა და სექციური მუშაობის გაჩაღება, მაგრამ ჯერჯერობით აქ ამ მხრივ „იდილიური“ მყუდროებაა.

უკეთესად არც ნარაზენის კოლმეურნეობა გამოიყურება. აქაც უყურადღებოდაა მიტოვებული მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა და ეს არავის ადარდებს. არტელის მესვეურს გ. ნანავას კარგი მაგალითისთვის შორს წასვლა არ ჭირდება: მის მეზობელ კოლექტივებში საქმიანად ზრუნავენ სპორტზე და წარმატებებიც ხელშესახებია.

ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ (დირექტორი — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა) შარშან მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებზე 1.900 მანეთი გაიღო. მზრუნველის ამაგს ახალგაზრდები შრომასა და სპორტში მოპოვებული წარმატებებით ამართლებენ. აქაური სპორტსმენები რაიონულ ასპარეზობაში საპრიზო ადგილებზე გამოდიან... ქების ღირსია ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაც. ახალი დირექტორი სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ კოლექტივში მოვიდა, მაგრამ დიდი ყურადღება გამოიჩინა ფიზიკური კულტურისადმი: მოაწყო სპორტული ბაზები, შეიძინა ინვენტარი, აიყვანა შტატიანი ინსტრუქტორი და მუშაობაც გაჩაღდა. საღამოობით ნათურებით განათებულ ბაზებზე ფიზკულტურელთა ვარჯიში თუ ამხანაგური შეხვედრები ჩვეულებრივ ამბად იქცა.

## ერთი რაიონის კონტრასტები

რაიონის ხელმძღვანელობა უსიამოვნოდ აცხადებს, რომ ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი „ხელიდან გამოეცალათ“. აქ წლების მანძილზე კარგად მიდიოდა საქმე, მაგრამ წინსვლის ნაცვლად ბოლო დროს მკვეთრი უკანდახევა შეიმჩნევა. რაიონის შარშანდელ სპარტაკიადაში კოლხიდელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილზე მუშაობა ჩაშლილია და ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

ზედმეტი არ იქნება ახალსოფლელებს შევახსენოთ, რომ ძველი სახელი და დიდება კარგია, მაგრამ სადღეისო მუშაობა და ტრადიციის განგრძობაც აუცილებელია, მით უმეტეს, რომ მათ გვერდით მდებარე ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები სულ წინ მიდიან და ახალსოფლელებს ჯობნიან. მეურნეობის ხელმძღვანელობის (დირექტორი ა. გაბელია) ზრუნვასა და სპორტსმენების მიმართ შეფობის გამოცდილებას ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობა რომ გაიზიარებდეს, მთელი კოლექტივი ბევრს მოიგებდა.

რაიონის სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებშიც იგრძნობა სპორტისადმი გულაცრუებული დამოკიდებულება. „კოლმეურნის“ ხელმძღვანელობის ვალია პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დაძლიოს ჩავარდნები და ჩამორჩენილ კოლექტივებში მიაღწიოს მდგომარეობის ძირეულ გარდატეხას.

თ. ხპანდერაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

# რუსულ-ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შესახებ

ჩვენ ჯერ კიდევ ადრე გავაცანით სპორტულ საზოგადოებრიობას თუ რა მუშაობა ჩატარდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში რუსულ-ქართული სპორტული ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესაქმნელად (წერილი „რა გაკეთდა სპორტულ ტერმინოლოგიაში“, „ლელო“ № 49, 1963 წ.). ინსტიტუტის კოლექტივმა წლების მანძილზე გაწეული შრომის შედეგად 1954 წელს ხელნაწერის უფლებით გამოაქვეყნა სპორტული ტერმინოლოგიის მაკეტი, რომელიც შენიშვნებისთვის დაეგზავნა სპეციალისტებს, დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს, ენათმეცნიერებს და ა. შ. ამ ღონისძიების შედეგად ინსტიტუტმა მიიღო შენიშვნათა დიდი რაოდენობა, რომლის საქმიანი ნაწილიც საფუძვლად დაედო ტერმინთა გარკვეული რიგის შესწორებას. ამ ეტაპზე მუშაობა არ შეწყვეტილა. გრძელდებოდა ლექსიკონის შევსება, დაზუსტება და საფუძვლიანი გადამუშავება.

1954 წლის მაკეტში, სხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონების მსგავსად, შეხვდებოდით ქართულ და საერთაშორისო ტერმინებს, ისტორიულ და, სადაც ქართული რეალიები ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა, ხელოვნურად აგებულ სიტყვებსაც, რა თქმა უნდა, ენის კანონის გათვალისწინებით.

შესწორებული ლექსიკონის წარდგენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ჩვენი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური სპორტკავშირის არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, 1964 წელს ვერ მოხერხდა (გადატვირთული იყო ტერმინოლოგიური განყოფილება). ლექსიკონი ამჟამად ინახება საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაპირებისამებრ, 1965 წელს მიღებული იქნება საბოლოო რედაქციის გასაკეთებლად.

ასეთია ხაქმის ვითარება, რომლის ანგარიშიც კიდევ ერთხელ გვინდოდა წარმოგვედგინა სპორტული საზოგადოებრიობისთვის. აქვე გვსურს გაკვრით შევჩერდეთ რამდენიმე კონკრეტულ, ასე ვთქვათ, „წვრილმან“ საკითხსა თუ ტერმინზე, რომლებთან დაკავშირებითაც, ჩვენი აზრით, არც თუ მთლად ჯანსაღი და პირუთვნელი პოლემიკა გაიმართა მცირე ხნის წინ. შეიძლებოდა მათზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, რომ საქმე პრინციპულ სიბრტყეზე არ იდგეს.

ზოგიერთმა — გულშემატკივარმა ძველი მაკეტიდან ამოკრეფილი მასალა კრიტიკის ობიექტად აქცია. ასეთი მოქმედება ჩვენ გაუგებრობად და „აკრძალული ხერხის“ გამოყენებად გვეჩვენება. ასეთნაირად მოიქცა ამხ. გ. ჯინჭარაძე.

ზოგადად უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ჯინჭარაძის მიერ აუგად მოხსენებული ტერმინები არ გახლავთ ასე იოლად ხელწამოსაკრავი და მათი ასე „ბითუმად“ გაბიაბრუება, რბილად რომ ვთქვათ, ნაჩქარევია.

მივმართოთ კონკრეტულ მაგალითებს: **ლაჯური ბრჯენი** — სავსებით კანონიერადაა აგებული ისევე, როგორც თავური, კავური და ა. შ. აქ გასასწორებელი იყო „ბჯენი“ და გასწორდა კიდეც. სამხნევი (-зарядка), გასწორდა სამხნევებელი (ხელოვნურად შექმნილი სიტყვაა და წარმოადგენს ნამიმღეობარ არსებით სახელს. განზრახ შერჩეულია ეს და არა სხვა ფორმა — საქცევის, სათბობის, საკვეთი-სა და მისთ. ანალოგიით). ასეთ ფორმათაგან მოქმედების სახელი არ კეთდება.

**გვერგვი** (обруч) ცოცხალი ქართული სიტყვაა და როგორც სავარჯიშო იარაღს, მას **სალტე** ვერ შეცვლის. **წინაგამწყო** (-антагонист) დამოწმებულია ისტორიულად. ხელოვნურად შექმნილ სიტყვას ვარჩიეთ გაგვეცოცხლებინა ი. პეტრიწის მიერ შემოღებული ეს ტერმინი. არადამაკმაყოფილებელია **ტანდეგობა** (-оганка), მაგრამ არც რეკომენდებული **ტანადობაა** ადეკვატური. ტანადობა оганка-ს კომპონენტი შეიძლება იყოს და არა ზედმიწევნით თვით იგი; არ ვარგოდა და გასწორდა **ზურგადმა ცურვა** (-плавание на спине), **გლეჯის მიმართულება** (-направление рывка) და ა. შ. გაუგებარია გ. ჯინჭარაძის განცხადება, თითქოს ჩვენ უმართებულოდ ამოვაგდეთ ტერმინი **ჩოგანი** და მის ნაცვლად შემოვიღეთ **ჭაკუნი** მაშინ, როდესაც სპორტულ ლექსიკონში ორივე ამ ტერმინს თავ-თავისი ადგილი უჭირავს.

საგაზეთო წერილის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს მიმოვიხილოთ ყველა შენიშვნა. მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ საფუძველზე იმის განცხადება, თითქოს ლექსიკონის მაკეტი (მაკეტი და არა ლექსიკონი) ხელს უწყობდეს „დამახინჯებული“ ტერმინების ხალხში გავრცელებას, ცოტა არ იყოს, უპასუხისმგებლოა.

ორიოდე სიტყვა იმავე ავტორის მიერ გერმანული ტერმინის **შტანგის** ნაცვლად შემოთავაზებული ქართული **საწონის** შესახებ.

ქართულ მეტყველებაში სპორტის სხვადასხვა სახეობათა სწრაფ განვითარებასთან ერთად შემოვიდა ზოგიერთი ისეთი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც ადრე ჩვენში არ არსებობდა. ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარმოებულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვლინებინა და აღგვედგინა ბევრი საჭირო ქართული სპორტული ტერმინი, რომელთაც შეცვალეს უცხოური ტერმინები. ზოგიერთი ტერმინი კი, რომლებიც ქართულს არ გაჩნია, სპორტულ ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა უცხოური ფორმით. შტანგაც სწორედ ასეთ ტერმინთა რიგს ეკუთვნის. ჩვენ მეტად სახარბიელოდ მივიჩნიეთ გ. ჯინჭარაძის წინადადება **შტანგას** ქართული **საწონ-ჩარექით** შეცვლის შესახებ, მაგრამ როგორც შემდგომმა კვლევამ - დაადასტურა, ასეთი შეცვლა (საწონ-ჩარექს არც ენობრივი და არც ნივთიერი კავშირი არა აქვს შტანგასთან) არ არის მიზანშეწონილი. ავტორს, როგორც ჩანს, თვითონვე შეპარვია ეჭვი და თავის მეორე წერილში გვთავაზობს უკვე არა საწონ-ჩარექს, არამედ **საწონს**. მაგრამ ფორმის ეს შეცვლა არაფრით ცვლის საკითხის არსს.

და მაინც, მივესალმებით გ. ჯინჭარაძის მონდომებასა და ინიციატიურობას სპორტული ტერმინების დადგენის საკითხში. მას, ისე როგორც ყოველ გულშემატკივარს, ყოველთვის ექნება შესაძლებლობა შეიტანოს თავისი წვლილი საერთო საქმეში. ოღონდ, ჩვენი რჩევაა, მეტი სიფრთხილით შეეარჩიოთ ზოგიერთი გამოთქმა და კვალიფიკაცია, მოვერიდოთ სიტყვათა თამაშს იქ, სადაც ზოგჯერ ბოლომდე არა ვართ კომპეტენტური.

**ნ. შიშნიაშვილი,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

**რედაქციისაგან:** ამით ჩვენ ვწყვეტთ კამათს რუსულ-ქართული სპორტული ტერმინოლოგიური ლექსიკონის მომზადებასა და გამოცემასთან დაკავშირებით. ცხადია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კამათის შეწყვეტა არ ნიშნავს ლექსიკონზე შემდგომი მუშაობისა და საქმიანი დისპუტის დასრულებას. ამ მიმართებით ყველა მსურველს ფართო საშუალება ექნება ლექსიკონზე მომუშავე პერსონალთან უშუალო ან წერილობითი კონტაქტის სახით. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მისამართია: **თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, ტელეფონი — 5-30-06.**

საბოლოო სიტყვას კი სპორტული ტერმინების შესახებ კომპეტენტური სპეციალისტები იტყვიან.

ძმები ზნამენსკების სახელობის მემორიალზე 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კუბელმა სპრინტერმა ე. ფიგეროლამ. სურათზე თქვენ ხედავთ მას ავტოგრაფების მიცემის მომენტში.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

# დიდი ტურნირები

● კისლოვოდსკი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის III ტურში ტალმა დაამარცხა ბიხოვსკი, შტეინმა — კლიუგერი (უნგრეთი), ლიბერზონმა — ფიხტელი (ჩეხოსლოვაკია). ბრადვარეიჩ (იუგოსლავია) — ავერბახისა და ფუქს (გდრ) — ჩოკილტიას (რუმინეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი (2,5 ქულა თვითეულს). მათ 1 ქულით ჩამორჩებიან საბჭოთა დიდოსტატი ი. ავერბახი და საერთაშორისო ოსტატი რ. ფუქსი.

● ლენინგრადი. სსრ კავშირ—იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის III ტურში ტაიმანოვიჩს, ხოლო მატულოვიჩმა — პოლუგაევსკის. ყაიმით დამთავრდა ჭაბუკი მოჭადრაკეების — გრიგორიანისა და ანტუანეცის შეხვედრა. დანარჩენი 7 პარტია გადაიდო.

IV ტურში ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო ვ. ნეფელკოვიჩს.

ოთხი ტურის შემდეგ კვლავ წინ არიან საბჭოთა მოჭადრაკეები — 22,5:11,5.

● **პეჩი.** აქ მიმდინარეობს ლ. ასტალოშის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. სტარტზე ლიდერობა ხელთ იგდო ოსტატმა პ. სილადიმ (უნგრეთი), რომელმაც პირველ სამ ტურში 2,5 ქულა მოაგროვა (მოუგო საერთაშორისო ოსტატებს — უნგრელ კ. ხორფს და ისრაელელ მ. ჩერნიაკს და ყაიმით დაამთავრა პარტია საბჭოთა დიდოსტატ რ. ხოლმოვთან).

## მეკარე დარჩა ინგლისში

როგორც ცნობილია, ინგლისში არავინ ყიდულობს უცხოელ „ვარსკვლავებს“, მაგრამ მოხდა ისე, რომ აქ სულ სხვა გზით, მაგრამ მაინც დაწინაურდა გერმანელი „ლანდსკნეხტი“ ბ. ტრაუტმანი.

ეს გერმანელი ჯარისკაცი ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკიდან გათავისუფლების შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნდა, დარჩა ინგლისში და „მანჩესტერ სიტის“ მეკარე გახდა, სადაც 17 სეზონი გაატარა. ეს ერთადერთი გამონაკლისი იყო, როდესაც ინგლისის პირველ ლიგაში უცხოელი თამაშობდა. ბ. ტრაუტმანი საუცხოო მეკარე აღმოჩნდა და რამდენიმეჯერ მოხვდა პირველი ლიგის ნაკრებშიც.

და ახლა, როცა გერმანელმა მეკარემ ასაკის გამო თამაშს თავი დაანება, „ბი ზეიმით გააცილეს კლუბიდან. ამასთან, ტრაუტმანმა განაცხადა, რომ არ წავა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სამუდამო საცხოვრებლად რჩება ინგლისში.

ბ. ტრაუტმანის გამოსათხოვარი მატჩი მეტად ეფექტური იყო. მანჩესტერის ორივე გუნდმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „მანჩესტერ სიტიმ“ — შეადგინა ქალაქის ნაკრები, რომლის კარსაც ვეტერანი იცავდა. ამ გუნდის წინააღმდეგ გამოვიდა სხვა ქალაქების ცნობილ მოთამაშეთაგან შედგენილი ნაკრები, სადაც სტენლი მეტიუზიც თამაშობდა. მატჩის მთელი შემოსავალი (9 ათასი გირვანქა სტერლინგი) იუბილარს გადაეცა.

## ხელიდან ხელში...

იტალიის პირველი ლიგის კლუბმა „გენუამ“ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ როგორც იქნა დაიყაბულა განთქმული შვედი ფეხბურთელი ჰ. ბილდი მიეტოვებინა „ნორჩეპინგი“, სადაც იგი კარგა ხანია თამაშობდა. თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო და შვედებიც შეურიგდნენ თავიანთი ცნობილი სნაიპერის დაკარგვას, როცა მოულოდნელად გამოცხადდა, რომ ბილდი გადდის არა „გენუაში“, არამედ შვეიცარიის ცნობილ კლუბ „ფკ ციურიხში“. როგორც შემდეგ გამოირკვა, „ციურიხმა“ შვედ „ვარსკვლავს“ 20 ათასი მარკით მეტი მისცა.

ნორვეგიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მძლეოსანთა მატჩზე ნორვეგიელმა ტერიე პედერსენმა დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი შუბით ტყორცნაში — 87,12 მეტრი!

მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი 21 წლისაა. ოლიმპიურ სეზონში იგი კვირაში ექვს დღეს ვარჯიშობს და ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონობაზე ოცნებობს.

სურათზე: ტ. პედერსენი შუბის ტყორცნისას.

ფოტო იუპი-საკდესისა.

## ნ. ჰიდეგკუტი— „პარტიზანის“ მწვრთნელი

გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი ნ. ჰიდეგკუტი დანიშნულია იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონ „პარტიზანის“ (ბელგრადი) მწვრთნელად. ნ. ჰიდეგკუტიმ თამაშს თავი დაანება მსოფლიოს VI ჩემპიონატის შემდეგ. მომდევნო ხანებში იგი წვრთნიდა იტალიის „ფიორენტინას“ და „მანტოვას“, შარშან კი სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა პროვინციულ კლუბ „დიერს“, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად უნგრეთის ჩემპიონი გახდა.

„პარტიზანი“ უკანასკნელი სეზონის მანძილზე ერთობ მარცხიანად თამაშობდა. ამითაა გამოწვეული ნ. ჰიდეგკუტის მიწვევა.

# წერილი რედაქციას

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოიცა ვ. ელაშვილისა და ა. ცამციშვილის ბროშურა „საქართველო—ჩეხოსლოვაკიის სპორტული მეგობრობა“, რომელშიც მოხსენებული ვარ მე, როგორც ქუთაისის საზოგადოება „სოკოლის“ ხელმძღვანელი. ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

როგორც ცნობილია, საზოგადოება „სოკოლი“ ქუთაისში დაარსდა 1912 წელს და სულ 10 თვე იარსება. მე ამ საზოგადოებაში არც წევრად და, მით უმეტეს, არც ხელმძღვანელად არ ვყოფილვარ. მაშინ ვსწავლობდი ქუთაისის რეალური სასწავლებლის მე-5 კლასში და როგორ შემეძლო ვყოფილიყავი „სოკოლის“ ხელმძღვანელი?! მისი ხელმძღვანელი იყო რეალური სასწავლებლის ტანვარჯიშის მასწავლებელი იასონ გაბაშვილი.

**პროფ. მ. გოგრაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე.**

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

**გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.